პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი | № 179 (10876) | ოთხშაბათი, 31 ივლისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ნეპალელი ჟურნალისტების ჯგუფი (1-ლი გვერდი).

მოსკოვში, VI მსოფლიო ფესტივალზე (1-ლი გვერდი).

ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი მოსკოვში დაბრუნდა (1-ლი გვერდი).

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე (მე-2 და მე-3 გვერდი).

რ. დავითური. — გამოვასწოროთ პირველი დღეების ნაკლოვანებანი (მე-3 გვერდი).

ახალი საბავშვო ჟურნალი (მე-3 გვერდი).

შ. კურდღელაშვილი. — ალაზანმაბლში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პროფკავშირული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

ნელს აგვისტოში მთელ ჩვენს დიად საშობლოში ფართოდ აღინიშნება საბჭოთა პროფკავშირების შექმნისა და მუშაობის სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავი. ეს დიდი მოვლენაა ჩვენი მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ქვეყნის მშრომელების ცხოვრებაში.

კომუნისტური პარტიის დამაარსებელმა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელმა, კაცობრიობის გენიოსმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა პროფკავშირებს სახელმწიფო მართვა-გამგეობის სკოლა, მეურნეობის წარმართვის სკოლა, კომუნიზმის სკოლა უწოდა. ეს სახელწოდება საბჭოთა პროფკავშირებმა, რომლებსაც თავიდანვე ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს, ბრწყინვალედ გაამართლეს მთელი თავიანთი ნახევარსაუკუნოვანი მუშაობით და ამართლებენ ახლაც პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მუშაობის, ინჟინერ-ტექნიკოსების, მოსამსახურეების დარაზმვით.

პროფკავშირები ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ყველაზე მასობრივ, დიდად გავლენიანი ორგანიზაციაა. ისინი მუდამ ახორციელებდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, სოციალისტური ეკონომიკის, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისაკენ. საბჭოთა პროფკავშირები თავიანთ რიგებში 47 მილიონზე მეტ მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსსა და მოსამსახურეს აერთიანებენ.

დიდი ამოცანები დაუსახა პარტიის XX ყრილობამ ჩვენს პროფკავშირებს. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის ბრძოლა, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელება, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, წარმოების სრულყოფაში აქტიური მონაწილეობა, სახელმწიფოებრივ, კულტურულ მშენებლობაში თავიანთი როლის ამაღლება, დაუცხრომელი ზრუნვა ტექნიკური პროგრესის განვითარებისათვის, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის — აი ის დიდი ამოცანები, რომლებიც პარტიამ ჩვენს პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაუსახა კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია მოითხოვს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას მრეწველობასა და მშენებლობაში შექმნილ ახალ ვითარებასთან შესაბამისად. ამას წინათ შედგა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეოთხე პლენუმი, რომელიც მიეძღვნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მეექვსე პლენუმის შედეგებისა და რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანათა განხილვას მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით. პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბოლო ხანებში შესამჩნევად გააძლიერეს ყურადღება საწარმოო საკითხებისადმი, გააუმჯობესეს მასობრივი მუშაობა, უფრო მოქნილად, ოპერატიულად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, გარკვეული წარმატებები აქვთ მოწინავე გამოცდილების მასობრივად გავრცელების საქმეში, მაგრამ ამავე დროს აქვთ მრავალი ნაკლი.

ერთ-ერთი ასეთი ნაკლია ის, რომ მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციებისა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საწარმოთა ყველა რეზერვის და შესაძლებლობის გამოყენების საქმეს. ზოგი საწარმოს კოლექტივი, ებმება სოციალისტურ შეჯიბრებაში, კისრულობს შემცირებულ ვალდებულებებს. მაგალითად, ახალციხე-ქვანახშირის საშახტო სამმართველოს პირველი შახტის კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები ვადამდე 4 თვით ადრე — 5 ივლისისათვის შეასრულა. ეს ფაქტი ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალისტურ ვალდებულებათა აღების საქმეს აქ ჯეროვანი სერიოზულობით არ მიუდგნენ, რეალურ შესაძლებლობასთან შედარებით შემცირებული ვალდებულებები აკისრეს. ასეთი მაგალითები მრავალია.

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეოთხე პლენუმზე აღინიშნა ისიც, რომ რესპუბლიკის მრეწველობის არა ერთსა და ორ საწარმოში საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმულ მუშებს არ აქვთ აღებული ინდივიდუალური სოციალისტური ვალდებულებები. შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობისას პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გაამახვილონ ყურადღება. საჭიროა კოლექტიური ვალდებულებები გამომდინარეობდნენ და შეეფარდებოდნენ ყოველი მომუშავის ინდივიდუალურ ვალდებულებებს.

მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისინი ემაყოფილდებიან საკანცელარიო მიმოწერით, „საერთო ხელმძღვანელობის“ გაწევით და არა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის კონკრეტული დახმარებით. ერთი მაგალითი: საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 1956 წლის 12 ოქტომბერს მიიღო დადგენილება მშენებელ მუშათა პროფჯგუფორგანიზატორების მუშაობის შესახებ. მშენებელ მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს დადგენილება რესპუბლიკურ კომიტეტებს 19 ნოემბერს დაუგზავნა. საქართველოს მშენებელ მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში იგი მიიღეს 3 დეკემბერს, გაამრავლეს და მშენებელთა პირველადს პროფორგანიზაციებს უკვე 1957 წლის 10 იანვარს, ე. ი. დადგენილების მიღების 3 თვის თავზე დაუგზავნეს. ასე დაყოვნდა ეს მნიშვნელოვანი საქმე კანცელარიულ ლაბირინთებში.

პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია გაამრავლონ მასების შემოქმედებითი ინიციატივა, აქტიურად ჩაებან კოლექტივები საწარმოთა მუშაობის დაგეგმიაში, კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმებაში, ხელფასის საკითხების და ტექნიკური უსაშიშრობის საქმის მოწესრიგებაში, გამოაცოცხლონ საწარმოო თათბირების, ტექნიკური კონფერენციების მუშაობა, დარაზმონ მუშათა მასები საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

დიადი კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მტკიცედ დარაზმული საბჭოთა პროფკავშირები, რომელთა რიგებში საქართველოს პროფკავშირებს ღირსეული ადგილი უკავიათ, ეჭვი არ არის კვლავაც გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის და პროფკავშირული მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებით აღინიშნავენ თავიანთი არსებობისა და მუშაობის სახელოვან 50 წლისთავს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ნეპალელი ჟურნალისტების ჯგუფი

ჟურნალ „ნოვოე ვრემიას“ რედაქციის მოწვევით სსრ კავშირში იმყოფება ნეპალელი ჟურნალისტების ჯგუფი, რომელშიც შედიან: მ. რ. სუბედი — გაზეთ „ევერესტ ნიუსის“ მთავარი რედაქტორი, უ. რ. შასტრი — გაზეთ „ნეპალ სამაჯარის“ მთავარი რედაქტორი, მ. ლ. შრეშტხა — გაზეთ „სომაიას“ მთავარი რედაქტორი, მ. რ. უპადჰაია — გაზეთ „სამაჯის“ მთავარი რედაქტორი, ბ. ჩ. გაუტამი — ყოველკვირეული ჟურნალის „მასალის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, პ. მ. სინგ პრადჰანი — რადიო „ნეპალის“ ინფორმაციის განყოფილების გამგე, კ. პ. უპადჰაია — ყოველკვირეული ჟურნალის „ნეპალ პუკარის“ მთავარი რედაქტორი, პ. ბ. სინგი — გაზეთ „ნეპალ ბასასა პატრიკის“ მთავარი რედაქტორი.

ნეპალელმა ჟურნალისტებმა სთხოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს მიეღო ისინი. 29 ივლისს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ნეპალელი ჟურნალისტები და ესაუბრა მათ.

მეგობრული საუბრის მსვლელობაში ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა ნეპალელი ჟურნალისტების კითხვებზე.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ლ. თ. ილიჩოვი და ჟურნალ „ნოვოე ვრემიას“ მთავარი რედაქტორი ლ. ა. ლეონტიევი. (საკდესი).

მოსკოვში, VI მსოფლიო ფესტივალზე

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მეორე დღე აღსავსე იყო საინტერესო ამბებით. გაიხსნა საერთაშორისო სამხატვრო კონკურსები, ფილატელისტური გამოფენა ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში, ფოტოგამოფენა მხატვართა დარბაზებში კუზნეცკი მოსტზე. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში ეწყობოდა სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების შეხვედრები.

ასობით მეგობრული თვალი ეყურებდა ამ დღეს ეგვიპტელ მოცეკვავეთა ლამაზ მოძრაობას, რომელნიც გამოდიოდნენ გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ღია ესტრადაზე. მოსკოველებს ძალიან მოეწონათ ცეკვა „ნილოსის სასძლო“, „საქორწილო მსვლელობა“ — დასავლეთ საჰარის ხალხური ცეკვა. აღტაცება გამოიწვია სახელგანთქმული ეგვიპტელი მოცეკვავის ნაიმა აკეფის გამოსვლამ.

მსიაკოვსკის მოედანზე გამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. ქალაქ პეკინის ახალგაზრდობის ანსამბლნა თავისი ხალხის შესანიშნავი ძველი ხელოვნება გააცნო მოსკოველებს. შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ ხებეის პროვინციის ცეკვას „ლაოძი“. მოცეკვავეთა შემდეგ გამოვიდა ხალხური საკრავთა ანსამბლი. მოსკოველები მხურვალედ შეხვდნენ ჩინელ მეგობართა სიმღერას, ცეკვას, მუსიკას. კონცერტი დამთავრდა, მაგრამ მსახიობები და მაყურებლები არ იშლებიან და კიდევ დიდხანს გაისმის მოედანზე სიტყვები — „მეგობრობა!“, „მშვიდობა!“, რომლებსაც ახლა მოსკოვის ყველა კუთხეში გაიგონებს ადამიანი.

მ. გორკის სახელობის სამხატვრო თეატრის ფილიალის შენობაში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის პირველი ეროვნული კონცერტი. მაყურებლები — მოსკოველები, კორეელი და რუმინელი ქალიშვილები და ჭაბუკები — გულთბილად შეხვდნენ გერმანელი ახალგაზრდობის გამოსვლას.

ყვილა ხალხურ ხელოვნებაში მშვენიერად ჩანს ხალხის სული. დაე ჩვენი ხელოვნება დაგვეხმაროს უკეთ გავუგოთ ერთმანეთს. დაე ფესტივალის დროს უფრო ბრწყინვალედ აყვავდეს მსოფლიოს ახალგაზრდა ტალანტები! — ეს სიტყვები წარმოთქვა ფესტივალის სამხატვრო კონკურსების გახსნაზე ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წევრმა ექტორ დელ კამპო სილვამ. მან კონკურსების მონაწილე მრავალი ქვეყნის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომელნიც კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ, დიდი წარმატება უსურვა.

საერთაშორისო სამხატვრო კონკურსები გაიხსნა აგრეთვე მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

30 ივლისიდან დაახლოებით 2.000 შემსრულებელი უჩვენებს თავის ოსტატობას 22 სახეობის ხელოვნებაში.

ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მოიწვია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე. მოხსენება გააკეთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუმინეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვერჯილ ტროფინმა.

ფესტივალი, — თქვა მან, — მშვიდობიანი თანაარსებობის გაკვეთილია. მოსკოვში ფესტივალის გახსნის ზეიმი მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში ახალგაზრდა თაობის ძალების ერთიანობის ნამდვილ დემონსტრაციად იქცა. მოსკოვმა პირველი წუთიდანვე მოგვხიბლა. მაგრამ ყველაზე მეტად მოგვხიბლეს მოსკოველებმა, რომელთა მხურვალე გულს ყველგან ვგრძნობთ.

ცისფერ ფონზე მოჩანს თეთრი ტრედი — მშვიდობის მაუწყებელი. იგი სწრაფად მიფრინავს. მზესავით გაიელვა ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის ემბლემამ. მის სხივებში მაყურებელთა წინაშე წარმოდგნენ ფერად-ფერად ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი სერბები, ხორვატები, ჩერნოგორიელები, მაკედონელები... ასე დაიწყო თავისი საფესტივალო კონცერტი მცირე თეატრის ფილიალში იუგოსლავიის მხატვრულმა თვითმოქმედებამ.

საბჭოთა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, ფესტივალის დელეგატებმა ჩინეთიდან, ჩილიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომელნიც იუგოსლავი ახალგაზრდობის ეროვნულ კონცერტზე შეიკრიბნენ, მხურვალე ოვაციებით დაჯილდოვეს იუგოსლავი ქორეოგრაფების მიერ დადგმული ცეკვების შემსრულებელნი.

ურთიერთ სიმპათია, აზრთა გულღია, მეგობრული გაზიარება — აი რა ახასიათებს დელეგაციათა შეხვედრებს, რომლებიც 29 ივლისს დაიწყო ფესტივალზე. ყოველდღე გაიმართება ახალგაზრდათა ბევრი ასეთი კრება. კრებები იმართება დელეგაციათა ინიციატივით, ამ კრებებმა ხელი უნდა შეუწყონ დელეგატების გაცნობას, დაახლოებას, თვალსაზრისთა გამოვლინებას სულ სხვადასხვა საკითხზე.

ერთმანეთს შეხვდნენ ჩინეთისა და ინგლისის დელეგაციები. ახალგაზრდებმა ჯერ მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, შემდეგ მაგიდებს მიუსხდნენ. დაიწყო შეხვედრის „ოფიციალური“ ნაწილი, რომელიც სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

ინგლისელი ახალგაზრდობის წარმომადგენელმა მასწავლებელმა ფრენსის მილერმა განაცხადა:

— ჩვენ გვიხარია, რომ ერთმანეთს შევხვდით. ეს არის სურვილი ჩვენი დელეგაციისა, რომელსაც სურს თქვენთან მეგობრობა.

ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენელმა უ შუ-ჩუანმა თქვა:

— ჩვენ გვიხარია, რომ ინგლისელებს შეეხვდით. ჩინეთი და ინგლისი ორი დიდი სახელმწიფოა და მათ ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ მშვიდობის განსამტკიცებლად. ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, მაგრამ ყველანი კი არა. ფესტივალის დღეებში უეჭველია უფრო ახლო გავიცნობთ ერთმანეთს. ამას წინათ ინგლისის მთავრობამ გააუქმა შეზღუდვები ჩინეთთან ვაჭრობაში. ეს გადაწყვეტილება ინგლისელი ხალხის კეთილი ნების გამოხატულებად მიგვაჩნია.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა სტუმრად მიიწვიეს საბჭოთა დელეგაციის წევრები. რამდენი სითბო, გულითადობა იყო მეგობართა ამ შეხვედრაში! კორეელი ახალგაზრდობა ხელს ართმევდა, ეხვეოდა უკრაინის სს რესპუბლიკის, სტალინგრადის, ვორონეჟის, კალინინის და სხვა ოლქების ახალგაზრდა მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინრებს. გაისმოდა კორეული, რუსული და უკრაინული სიტყვები.

ქარხანა „კალბრის“ მუშებმა მიიღეს სტუმრები — ფესტივალის მონაწილე ახალგაზრდა ფინელები. ფინელმა მხეხავებმა, მღარველებმა, ზეინკლებმა-მეინსტრუმენტეებმა, ელექტრომონტიორებმა დაათვალიერეს საამქროები, იყვნენ ქარხნის სანატორიუმში, სტუმრებსა და საბჭოთა მუშებს შორის მეგობრული საუბრები გაიმართა.

მოსკოვის ქარხანა „კაუჩუკში“ იყო ახალგაზრდა ფრანგ ქიმიკოსთა დიდი ჯგუფი. საამქროებში ექსკურსიის დამთავრების შემდეგ სტუმრები დიდხანს ესაუბრნენ ქარხნის დირექტორსა და მუშაკებს. (საკდესი).

მოსკოვი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი. **სურათებზე:** ზემოთ — აფრიკის, არგენტინისა და ბულგარეთის ახალგაზრდობის საუბარი; ქვემოთ — უნგრელი დელეგატები მშენებელთა პროფკავშირის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეები ასრულებენ ცეკვა „ბოტოლოს“ (პუშკინის მოედანზე).

ფოტო ლ. ბორდუკოვისა და ვ. იანკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

III საერთაშორისო მეგობრული ასპარეზობა

მოსკოვი. 30 ივლისი. დღეს დედაქალაქის სასპორტო ბაზებში დაიწყო ასპარეზობა. ასპარეზობა ძირითადად მიმდინარეობს წინასწარი შერჩევით. ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ ფინალს.

გუშინ გვიან საღამოს გაიმართა ეგვიპტისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა მატჩი. ეს გუნდები ხვდებიან III ჯგუფში. ასეთი ჯგუფი სულ ოთხია. შეხვედრა მოიგეს ჩეხოსლოვაკებმა ანგარიშით 7 : 1. საბჭოთა კავშირის გუნდი პირველ ჯგუფში შედის. 31 ივლისს იგი შეხვდება ინდონეზიის ფეხბურთელებს.

კალათბურთელ ვაჟთა 17 და ქალთა 11 გუნდი ჩაება ბრძოლაში. წინასწარი შეხვედრები 3 აგვისტომდე გაგრძელდება, ხოლო ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ფინალს მოაწყობენ 5-8 აგვისტოს.

დღეს გაიმართა მატჩები კალათბურთში. სულ შედგა 13 შეხვედრა. შეჯიბრება მიმდინარეობდა ლენინის სახელობის სტადიონის კალათბურთის მოედნებზე. საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა ეგვიპტისა და ბელგიის ვაჟთა გუნდების შეჯიბრება, რომელიც მოიგეს ეგვიპტელებმა ანგარიშით 67 : 65. დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ვაჟთა გუნდები: ჩეხოსლოვაკია — ინგლისი 96 : 48, საფრანგეთი — შვეიცარია 70 : 38, ბულგარეთი — ტუნისი 113 : 44. ქალთა გუნდებს შორის საინტერესო იყო სსრ კავშირისა და საფრანგეთის სპორტსმენთა კოლექტივების შეჯიბრება. საბჭოთა სპორტსმენებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა და მოიგეს მატჩი ანგარიშით 76 : 40. ბულგარეთის კალათბურთელ ქალთა გუნდმა დაამარცხა ბელგიის კალათბურთელი ქალები 76 : 24.

წყლის სპორტის სახეობათა შორის წყალბურთი ერთ-ერთ საინტერესო ასპარეზობად ითვლება. ამიტომ შეჯიბრებას მრავალი მაყურებელი ესწრება. შეხვედრებში მონაწილეობას იღებს 9 გუნდი. კენჭისყრაში მონაწილე 9 ქვეყნის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ გათამაშება მოეწყოს წრიული სისტემით ერთ წრედ. დღეს გაიმართა 4 მატჩი. დილის შეხვედრებიდან საინტერესო იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ინგლისის წყალბურთელთა შეხვედრა, რომელიც მოიგეს გერმანელებმა ანგარიშით 4:3.

წყალბურთელთა ძლიერი კოლექტივი ჰყავს უნგრეთს. დღეს დილით იგი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის გუნდს და მატჩი მოიგო 11 : 0.

ფარიკაობა დაიწყო „კრილია სოვეტოვის“ სასპორტო ბაზებში. გაიმართა უნგრეთისა და ფინეთის, სსრ კავშირისა და ავსტრიის, რუმინეთისა და საფრანგეთის, ეგვიპტისა და პოლონეთის და სხვა ქვეყნების მოფარიკაეთა შეხვედრები. საბჭოთა სპორტსმენებმა შეხვედრათა უმრავლესობა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს. სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში შემავალმა საქართველოს მოფარიკაევემ ი. ოსიპოვმა სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო. უნგრეთისა და ფინეთის მოფარიკაეთა შეხვედრებში წინ მიდიან უნგრელები, რუმინეთ-საფრანგეთის შეჯიბრებაში — რუმინელები.

ყველა აქ ჩამოთვლილ და მრავალ სხვა ასპარეზობას უკრესად მეგობრული ხასიათი აქვს. სპორტსმენები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, ულოცავენ წარმატებებს, გამოხატავენ საერთო აღფრთოვანებას.

ვ. გაბელია,
ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი მოსკოვში დაბრუნდა

29 ივლისს დილით საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნდა ავღანეთის მეფე მისი უდიდებულესობა მუჰამედ ზაჰირ შაჰი. დაბრუნდნენ აგრეთვე მისი თანმხლები ავღანელი სახელმწიფო მოღვაწეები.

ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ლენინგრადის ვაგზალში ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურს შეხვდნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი და სხვები.

ვაგზალში იყვნენ აგრეთვე ავღანეთის საელჩოს პერსონალი სსრ კავშირში და ავღანეთის ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელიც ჩამოსულია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე. მოსკოვში დაბრუნდნენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ვ. ზახაროვი და სხვა ოფიციალური პირები, რომლებიც ავღანეთის მეფეს ახლდნენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

* * *

29 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა საბჭოთა კავშირში მყოფი მისი უდიდებულესობის ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰის პატივსაცემად.

მეფესთან ერთად საუზმეზე იყვნენ მისი უმაღლესობა ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ ნაიმი და სხვა ავღანელი სტუმრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები გ. კ. ჟუკოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, მ. გ. პერვუხინი, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

საუზმის დროს, რომელმაც გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ნ. ა. ბულგანინმა და მისმა უდიდებულესობამ მუჰამედ ზაჰირ შაჰმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დღის მეორე ნახევარში ავღანეთის მეფემ მუჰამედ ზაჰირ შაჰმა პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრთან მუჰამედ ნაიმთან, აგრეთვე სხვა ავღანელ სტუმრებთან და თანმხლებ პირებთან ერთად კრემლში დაათვალიერა სახელმწიფო საუფლო პალატა. სტუმრები გაეცნენ ამ შესანიშნავი მუზეუმის მრავალ კოლექციასა და უნიკალურ საგნებს.

შემდეგ ავღანეთის სახელმწიფოს მეთაური და მისი თანამგზავრები დაესწრნენ საერთაშორისო სპორტული ასპარეზობის გახსნას ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ლუჟნიკში.

(საკდესი).

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გაღიდებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა ერთი საკითხი — „მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და ხორცის, რძის, კარაქის, კვერცხის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ვ. კოვანოვმა.

— კომუნისტური პარტია ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, — ამბობს მომხსენებელი, — უდიდეს მუშაობას ეწევა XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლება.

უკანასკნელ წლებში პარტიამ შეიმუშავა და განახორციელა ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებისათვის. სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის წესის შეცვლამ, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამ შესაძლებელი გახადა შედარებით მოკლე ხანში მიგვეღწია მკვეთრი გარდატეხისათვის, გაგვედიდებინა მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. ამას წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გაუქმების შესახებ 1958 წლის 1 იანვრიდან. სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით პარტიამ წამოაყენა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ლოზუნგი — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

— ყველა ამ ღონისძიებას, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, — განაგრძობს მომხსენებელი, — მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი უპირდაპირებდა მუშაობის ძველ, სავსებით დრომოჭმულ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაგმო როგორც ისეთები, რომლებიც არ შეესაბამება ჩვენი წინსვლის ინტერესებს.

ცენტრალური კომიტეტის მიერ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის განადგურება, მთელი პარტიის, მთელი ხალხის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა გადაჭრით და ერთსულოვნად მოწონება პარტიის ლენინური გენერალური ხაზის ახალ გამარჯვებას ნიშნავს.

მომხსენებელი შემდეგ ეხება სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მდგომ დიდ ამოცანებს. აღნიშნა რა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც რესპუბლიკის ორგანიზაციებმა განახორციელეს, რათა აღმოეფხვრათ შეცდომები, რომლებიც წარსულში დაშვებული იყო სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში, როგორიც არის მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოება, მომხსენებელმა თქვა, რომ საჭიროა შემდეგშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მთელი საბჭოთა კავშირისათვის ამ ძვირფასი დარგების განვითარებას. საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურება ის არის, რომ, აღნიშნულ დარგებთან ერთად, რესპუბლიკაში უმდიდრესი შესაძლებლობებია მეცხოველეობის, მარცვლეული მეურნეობის, მებოსტნეობის განვითარებისთვისაც.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ბევრმა კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, იანვრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსაზორციელებლად.

მაგრამ საქართველოში მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მხრივ ჩვენი რესპუბლიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის მოწინავე რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს.

შეუძლია თუ არა ჩვენს რესპუბლიკას უახლოეს რამდენიმე წელიწადში ერთიორად და ერთისამად გაადიდოს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება? უეჭველია, შეუძლია. ამას დამაჯერებლად მოწმობს მოწინავე რაიონებისა და კოლმეურნეობების გამოცდილება. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა პარტიის იმ მოწოდების პასუხად, რომ დავეწიოთ ამერიკას ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოონ 25 ცენტნერი ხორცი და 130 ცენტნერი რძე; მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა შესაბამისად — 60 და 275 ცენტნერი. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა — ხორცი — 33 ცენტნერი, დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა — რძე — 116 ცენტნერი. მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა მიმდინარე წელს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოოს 46 ცენტნერი ხორცი, ხოლო 1960 წელს — 75 ცენტნერი; რძე შესაბამისად — 268 და 420 ცენტნერი. ამავე რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ გადაწყვიტა მიმდინარე წელს აწარმოოს 62 ცენტნერი ხორცი, ხოლო 1960 წელს — 107 ცენტნერი; რძე შესაბამისად — 200 და 536 ცენტნერი. ასეთი მაგალითი ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ.

შემდეგ მომხსენებელი გადადის მეცხოველეობის ცალკეულ დარგებში საქმის ვითარების დახასიათებაზე. ეხება რა მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწველი პირუტყვის ჯოგის პროდუქტიულობა და გადიდდა პროდუქციის გამოსავლიანობა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. მაგალითად, თუ 1953 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 468 კილოგრამი რძე, 1956 წელს ერთი ძროხის საშუალო წველადობამ 852 კილოგრამი შეადგინა; 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებულია 56 ცენტნერი რძე ნაცვლად 1953 წელს მიღებული 34 ცენტნერისა. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიღებულია 83.000 ტონა რძე, ბევრად მეტი, ვიდრე მიღებული იყო მთელი 1953 წლის განმავლობაში. მაგრამ ეს წარმატებები სრულებითაც არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე მეცხოველეობის დარგში დგას. რესპუბლიკაში საერთო მაჩვენებლებს იქით ამოფარებულია ბევრი კოლმეურნეობა და მთელი რაიონები, რომლებიც ერთ ადგილს ტკეპნიან, ხოლო ზოგიერთი მათგანი წველადობის შემცირებასაც კი უშვებს. ასეთ რაიონებს ეკუთვნიან ყვარლის, გეგეჭკორის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, ჭიათურის რაიონები.

რესპუბლიკის კოლმეურნეობების წინაშე დიდი ამოცანა დგას — მიმდინარე წელს საშუალოდ ერთი ძროხის წველადობა აიყვანონ სულ ცოტა 1.200 კილოგრამამდე, ხოლო უახლოეს წლებში გაადიდონ იგი 2.500 კილოგრამამდე. ეს ამოცანა ადვილი არ არის, მაგრამ მისი შესრულება სავსებით შესაძლებელია. უკვე ახლა მოწინავე კოლმეურნეობებმა და მწველავებმა უფრო მაღალ წველადობას მიაღწიეს. ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობები, რომლებმაც მიმდინარე წლის 6 თვეში უკვე მიიღეს საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.000-1.500 კილოგრამი რძე.

ეხება რა ხორცის წარმოებასთან დაკავშირებულ ამოცანებს, მომხსენებელი ამბობს, რომ საჭიროა გავადიდოთ ძროხის ხორცის წარმოება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბაგაზე და საძოვრზე გასუქებით, აგრეთვე მოზვრების გაზრდით ერთნახევარი-ორი წლის ასაკამდე, რომელთა წონა სულ მცირე 250-300 კილოგრამი იქნება.

აღნიშნავს რა მერძეული პირუტყვის ჯოგის პროდუქტიულობის გადიდების რეზერვებს, მომხსენებელი საჭიროდ ცნობს უფრო ფართოდ იქნას შემოღებული ძროხების დამატებითი კვება მწვანე მასით, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას ნაწვერალზე ნათესები. გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოს და დმანისის რაიონის სოფელ იაკუბლოს კოლმეურნეობათა მაგალითის მიხედვით ახლავე ყველგან უნდა მოეწყოს სილოსის ჩადება ბუნტებად.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქართველოს კოლმეურნეობებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მეცხვარეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. განხორციელებულია ფარეხების, საცხოვრებელი სახლების, ბანოების, არტეზიული ჭების, ვეტერინარული და სამედიცინო პუნქტების დიდი მშენებლობა. განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების გამოსავლიანობის გადიდება.

— მაგრამ, — ამბობს მომხსენებელი, — უნდა აღინიშნოს, რომ მეცხვარეობის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი ხორციელდება უმთავრესად ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე. ხოლო რესპუბლიკის შიგნით საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. მეტ წილ კოლმეურნეობებში ცხვარი მიწურებში ჰყავთ, თივის სადაზღვევო მარაგს არასაკმაო რაოდენობით ამზადებენ, ცხვარს არ კვებავენ კონცენტრატებითა და სილოსით. ყოველივე ეს იწვევს ცხვრის სულადობის შემცირებას. მეცხვარეობაში საჯიშე მუშაობის საკითხები ჯერ კიდევ არ არის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ყურადღების ცენტრში.

— დიდი ხანია მომწიფდა, — აღნიშნავს მომხსენებელი, — საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის გადასინჯვის საკითხი. კოლმეურნეობებსა და ცალკეულ რაიონებზე საძოვრების მიმაგრება, რაც ამჟამად არსებობს, მეტწილ შემთხვევებში არ შეესაბამება პირუტყვის რაოდენობას ამა თუ იმ რაიონში.

შემდეგ ამხ. კოვანოვი ლაპარაკობს იმ დიდ როლზე, რომელიც უნდა შასრულოს მეღორეობამ ხორცის წარმოების გადიდებაში. გასულ წელს საქართველოს კოლმეურნეობებში გასუქებულ იქნა 48.000 ღორი, მაშინ როცა 1955 წელს გასუქებული იყო 13.000. თუ 1956 წელს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ღორის საშუალო წონა 21 კილოგრამს შეადგენდა, წელს იგი უკვე 67 კილოგრამს შეადგენს. ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ არ შეიძლება დავფაროთ ისიც, რომ კოლმეურნეობები გოჯებს დიდი რაოდენობით ჰყიდიან ბაზარზე. მაგალითად, მიმდინარე წლის 6 თვეში გაყიდულ იქნა 64.000 გოჯი, რომელთა საშუალო წონა 5,5 კილოგრამი იყო. კოლმეურნეობებს ამდენი გოჯი რომ გაეუქებინათ, დამატებით შეგვეძლო მიგვეღო სულ ცოტა 5.000 ტონა ხორცი. ახლა ამოცანა ის არის, რომ ყველა ღონისძიებით გავადიდოთ ღორის ხორცის წარმოება, შევასრულოთ რესპუბლიკის კოლმეურნეობების მიერ ნაკისრი ვალდებულება წლის ბოლომდე სუქებიდან 150.000 ღორის მოხსნის შესახებ. ღორების გასასუქებლად საჭიროა ფართოდ ვიყენებდეთ საჭმლის ნარჩენებს. მარტო თბილისში ასეთი ნარჩენებით შეიძლება 20-30 ათასი ღორის გასუქება.

— მეფრინველეობის განვითარებისათვის, — ამბობს ამხ. კოვანოვი, — ჩვენს რესპუბლიკაში ყველა საჭირო პირობა არსებობს. მაგრამ ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი დღემდე ყველაზე ჩამორჩენილია. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ფრინველის სულადობა, ნაცვლად ზრდისა, ძლიერ შემცირდა. განსაკუთრებით შემცირდა წყალმცურავი ფრინველისა და ინდაურის სულადობა, ხოლო კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოება სულაც არ გადიდებულა.

უახლოეს წლებში უნდა გავადიდოთ კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოება. კოლმეურნეობებში სავსებით შესაძლებელია კვერცხის წარმოება აავიყვანოთ 190 მილიონ ცალამდე, ხოლო ფრინველის ხორცისა — 8.000 ტონამდე. რესპუბლიკის საკვები რესურსები ამის მიღწევას სავსებით შესაძლებელს ხდის. განსაკუთრებით თართოდ უნდა განვითარდეს წყალმცურავი ფრინველისა და ინდაურის მოშენება.

— მეცხოველეობის აღმავლობის პრობლემას ვერ გადავჭრით, — ამბობს მომხსენებელი, — თუ საკვები საკმაო რაოდენობით არ გვექნა. მეცხოველეობისათვის საკვების საჭირო რაოდენობით დამზადების გეგმას ბევრი კოლმეურნეობა წლითიწლობით ფუშავს. თითქმის ყოველ წელიწადს ზამთრის დადგომისას იწყება განგაში, ბევრ კოლმეურნეობაში არ ჰყოფნით საკვები, საჭირო ხდება მისი გადაზიდვა დიდ მანძილზე და კოლმეურნეობის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხების ხარჯვა, ზოგჯერ რკინიგზის ტრანსპორტისა და ავტოტრანსპორტის დახფრვა... ჩალით. მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში საკვები ბაზის მნიშვნელობის მხოლოდ შეუფასებლობით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სიღნაღის, მარნეულის, წალკისა და გარდაბნის რაიონებში მრავალწლიანი ბალახების თართობები უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შემცირდა, ხოლო ამ რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში საერთოდ თავი დაანებეს ბალახების თესვას.

მდგომარეობა უკეთესი არ არის სხვა საკვები კულტურების მოყვანის მხრივაც. მათ, როგორც წესი, თესავენ დიდი დაგვიანებით, უკანასკნელ რიგში, ყველა აგროტექნიკური ვადის გასვლის შემდეგ. საკვები კულტურების ნათესებს სათანადოდ არ უვლიან, რის შედეგად ისინი ხშირად სარეველებით იფარება და მათი მოსავალი ძალიან დაბალია. მაგალითად, ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა უკანასკნელ წლებში საშუალოდ ჰექტარზე 260-270 ცენტნერს უდრიდა. ამავე დროს საკვებ ჭარხალს იმავე კოლმეურნეობებში ერთიორად ნაკლებს იღებენ. მოვლა რომ ერთნაირი ყოფილიყო, საკვები ჭარხლის მოსავალი ხომ 3-4-ჯერ მეტი იქნებოდა, ვიდრე შაქრის ჭარხლისა.

წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა უნდა ჩადონ სულ ცოტა მილიონნახევარი ტონა სილოსი, მეტწილად სიმინდი. ამავე დროს სასილოსედ გამოყენებულ უნდა იქნას მზესუმზირა და საკვები კულტურების სხვა ნათესები, გარეული ბალახები. ამ მხრივ კარგად იმუშავეს დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც 20 ივლისისათვის უკვე დაასილოსეს 20.000 ტონა გარეული ბალახები. ამდენივე სილოსის ჩადება გადაწყვიტეს ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა. ლაგოდეხის რაიონში იკისრეს ჩადონ 40.000 ტონამდე სილოსი, საგარეჯოს რაიონში — 82.000 ტონა, სიღნაღის რაიონში — 80.000 ტონა. და თუ ამ რაიონებში ადამიანებმა შეიგნეს, რომ წვნიანი საკვები რძისა და ხორცის წარმოების გადიდების, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საშუალებაა, ამის თქმა, სამწუხაროდ, არ შეიძლება ადიგენის, ზუგდიდისა და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობებზე, სადაც ვარაუდობენ სილოსის მეტად უმნიშვნელო რაოდენობით ჩადებას.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა პირობა აქვთ, და მათ საჭირო რაოდენობით უნდა მოიმარაგონ სხვადასხვა საკვები. საკვები რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებისა და სრულფასოვანი საკვებით პირუტყვისა და ფრინველის უზრუნველყოფის მიზნით რესპუბლიკაში წელს პირველად მოეწყო წარმოება კომბინირებული საკვებისა მერძეული პირუტყვისათვის, ღორისა და ფრინველისათვის საქარხნო მასშტაბებით.

მომხსენებელი შემდეგ ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა მეცხოველეობის ფერმებში ამაღლდეს პირუტყვის მოვლა-შენახვისა და კვების კულტურა, მექანიზებულ იქნას შრომატევადი პროცესები. სამუშაოთა მექანიზაციის მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მეცხოველეობის ისეთ მნიშვნელოვან რაიონებში, როგორიც არის ბოგდანოვკის, ახალქალაქის, წალკის, ახმეტის, ასპინძის რაიონები. თუ არ განხორციელდა მეცხოველეობის მექანიზაცია, თუ სერიოზულად არ გაუმჯობესდა ტექნიკური ბაზა, შეუძლებელი იქნება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების უზრუნველყოფა.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია აგრონომიული, ზოოტექნიკური და ვეტერინარული კადრებით. საკმარისია ითქვას, რომ უმეცალოდ კოლმეურნეობებში, მტს-ებში, რაიალმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებში მუშაობს უმაღლესი განათლების მქონე 2.000-მდე სპეციალისტი და საშუალო განათლების მქონე თითქმის ამდენივე სპეციალისტი, მაგრამ ეს უდიდესი ძალა დღემდე ჯერეროვნად არ არის გამოყენებული. ამავე დროს მთელ რიგ ადგილებში სპეციალისტებს არ უწევენ დახმარებას, ნაკლებად ზრუნავენ მათთვის. მაგალითად, სამხრეთ ოსეთში ამის შედეგად 213 კაციდან, რომლებიც სამუშაოდ გაგზავნილ იყვნენ ოლქში, მხოლოდ ნახევარი დარჩა, დანარჩენები კი იძულებული გახდნენ წასულიყვნენ იქიდან.

შემდეგ ამხ. კოვანოვი ლაპარაკობს იმ დიდ როლზე, რომელიც მეცხოველეობის მკვეთრ აღმავლობაში სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა უნდა შეასრულონ. საქართველოში ბევრია ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საცდელი სადგურები, ლაბორატორიები. მაგრამ ამ დაწესებულებათა მუშაკების მეტი ნაწილი მოწყვეტილია პრაქტიკას. თავიანთ რეკომენდაციებს ისინი არ განამტკიცებენ ეკონომიური გაანგარიშებით.

შეეხო რა საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, ამხ. კოვანოვმა აღნიშნა, რომ საქართველოს მეცხოველეობის მეურნეობებს თავიანთი მაჩვენებლებით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავთ ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობებს შორის. უკანასკნელ წლებში მათ მნიშვნელოვნად გაადიდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, მაგრამ პროდუქციის წარმოების კარგი რაოდენობრივი მაჩვენებლების მიღწევა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვიცოდეთ, თუ რა უჯდება სახელმწიფოს მიღებული პროდუქცია. თუ ყულარის საბჭოთა მეურნეობაში კილოგრამი რძის თვითღირებულებამ შარშან ერთი მანეთი და 8 კაპიკი შეადგინა, გაგრის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში მან 1 მანეთსა და 32 კაპ. მიაღწია. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 1 კილოგრამი ხორცის (ცოცხალი წონით) თვითღირებულებამ კრწანისის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში შეადგინა 20 მანეთი, ხოლო ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში იგი 42 მანეთს უდრის. ეს იმას მოწმობს, რომ ზოგიერთი ჩვენი საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ არაეკონომიურად უძღვება მეურნეობას.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სერიოზული ჩამორჩენაა მეცხოველეობის პროდუქციის და განსაკუთრებით ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმის შესრულების საქმეში. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ქარელის, კაჭრეთის, სიღნაღის, ყვარლის, სამტრედიის, წულუკიძის, ონის, ზუგდიდის რაიონებში და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

ამხ. კოვანოვი დაწვრილებით ლაპარაკობს მეცხოველეობის ფერმებში პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღების ამოცანებზე.

საქმის წარმატებას წყვეტენ კადრები, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უნარიანად დაყენება, წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების სწორი განაწილება. ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებში 980 კომუნისტია, მაგრამ ფერმებში პარტიის მხოლოდ 75 წევრი და კანდიდატი მუშაობს. სტალინირის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში მხოლოდ 26 კომუნისტი მუშაობს.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის მუშაკები, — ამბობს დასასრულ ამხ. კოვანოვი, — სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის — მეცხოველეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე გამოდიან. და ეჭვი არ არის, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები აამოქმედებენ რეზერვებს, უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, გადაჭრით გააუმჯობესებენ მეცხოველეობის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობას და ამით ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგს გადააქცევენ მეურნეობის მოწინავე მაღალპროდუქტიულ და შემოსავლიან დარგად, ღირსეულად შეასრულებენ ისტორიულ ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

* * *

მოხსენების გამო გაჩაღდა გაცხოველებული კამათი. ყველა გამოსული ერთსულოვნად აღნიშნავდა მნიშვნელოვან წარმატებებს, რომლებიც უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში მიღწეულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის და, კერძოდ, მეცხოველეობის განვითარებაში, აგრეთვე იმას, რომ სწორია გადაწყვეტილებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა, რომელმაც დაგმო მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა, რომლებიც ვერ ხედავდნენ ამ წარმატებებს და ხელს უშლიდნენ პარტიას განეხორციელებინა ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისაკენ, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებანი.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმამდე, — განაცხადა პარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანმა ამხ. **პ. ბაქრაძემ**, — რაიონის ვერც ერთი კოლმეურნეობა ვერ ასრულებდა წველადობის გეგმას. 1953 წელს რძის საშუალო გამოსავლიანობა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე შეადგენდა 26 ცენტნერს, ხოლო ხორცისა — 20-ს. გასულ წელს კი შესაბამისად შეადგინა 77 და 24,8 ცენტნერი. რაიონში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა პირუტყვის და განსაკუთრებით ძროხის სულადობის ზრდის გეგმის შესრულების მხრივ.

ილაპარაკა რა იმ ვალდებულებებზე, რომლებიც რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს პარტიის იმ მოწოდების პასუხად, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, ამხ. ბაქრაძემ ამავე დროს დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ რაიონს გაეწიოს დახმარება ტექნიკით, რათა დროზე აიღოს სიმინდისა და საკვები კულტურების მოსავალი, ჩადოს სილოსი. მან ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, რომ საჭიროა რაიონს მიეცეს საძოვრები რესპუბლიკის შიგნით.

პარტიის გორის რაიკომის მდივანმა ამხ. **ზ. თავზარაშვილმა** ილაპარაკა იმ დიდ შესაძლებლობებზე, რომლებიც გორის კოლმეურნეობებს აქვთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საშუალო წველადობა რაიონის კოლმეურნეობებში ოთხჯერ გაიზარდა. მაგრამ ყველა რეზერვი როდია ამოწურული. რაიონის კოლმეურნეობები, რომლებიც ეხმაურებიან პარტიის მოწოდებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების შესახებ, კომუნისტების ინიციატივით პოულობენ ახალ შესაძლებლობებს მეცხოველეობის აღმავლობისათვის. თუ 1953 წელს ნაწვერალზე ნათეს სიმინდს 52 ჰექტარი ეჭირა, წელს ამ კულტურას ეთმობა 1.500 ჰექტარი. ბევრჯერ იზრდება აგრეთვე რაოდენობა მარცვლეულისა, რომელიც განკუთვნილია პირუტყვისა და ფრინველის საკვებად.

ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად, — ამბობს ამხ. თავზარაშვილი, — გორის რაიონში 1957 წელს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებულ იქნება 29,3 ცენტნერი ხორცი, ხოლო 1960 წელს — 44 ცენტნერი. წელს გავასუქებთ 6.000 ღორს, ხოლო 1960 წელს — უკვე 16.300-ს. 1957 წელს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მივიღებთ 98,4 ცენტნერ რძეს, ხოლო 1960 წელს — 170 ცენტნერს, ძროხების რაოდენობას, რაც ახლა 4.700 სულს უდრის, ავიყვანთ 6.000 სულამდე.

აჭარაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ავტონომიურ რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. მამულაძემ**. ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობები, რომლებიც ჩაებნენ წინსოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდ მუშაობას ეწევიან პარტიის სულადობის გასაადიდებლად და მისი პროდუქტიულობის ასამაღლებლად. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში მიღებულია 352 ტონა მეტი რძე, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწიეს ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა.

გავითვალისწინეთ რა არსებული შესაძლებლობანი, ჩვენ გადავწყვიტეთ მივაღწიოთ 1960 წლისათვის ხორცის წარმოების გადიდებას 3,5-ჯერ, რაც საშუალებას მოგვცემს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მივიღოთ 52 ცენტნერი ხორცი, ხოლო რძის წარმოება ავიყვანოთ 260 ცენტნერამდე. უკანასკნელ წლებში აჭარის კოლმეურნეობებმა სერიოზულად მოკიდეს ხელი მეღორეობის განვითარებას. ახლა ყველა მეურნეობაშია მეღორეობის ფერმები. წლის ბოლომდე სუქებიდან მოხსნილ იქნება 3.700 ღორი.

— მიმდინარე წელს, — ამბობს დასასრულ ამხ. მამულაძე, — სილოსის წარმოებას გავადიდებთ 10.000 ტონით. წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტი იქნება დამზადებული უხეში საკვებიც. მაგრამ ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკას თავისი სუბტროპიკული მიმართულების გამო არ შეუძლია მთლიანად უზრუნველყოს თავისი თავი უხეში საკვებით. ამიტომ ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას წელს აჭარაში შემოზიდოს 10.000 ტონა თივა საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამხ. მამულაძე აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებელია აჭარის კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნას საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დასაყრდენი პუნქტი, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებს დახმარებას გაუწევდა მეცხოველეობის განვითარების გადაუდებელი საკითხების გადაჭრაში.

ტრიბუნაზეა პარტიის დმანისის რაიკომის მდივანი ამხ. **მ. კულიევი**. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა უკანასკნელ წლებში რაიონის კოლმეურნეობათა მეურნეობა, როგორ იქნა უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობა. 1953 წლიდან განვლილ პერიოდში საშუალო წველადობა თვითეულ საფურაქე ძროხაზე გაიზარდა 250 კილოგრამით, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით — 280 კილოგრამით, შესაბამისად გაიზარდა რძის საერთო წარმოება. ამას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყეს ღონისძიებებმა მეცხოველეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის. პარტიის რაიკომმა და რაიაღმასკომმა კოლმეურნეობებს ურჩიეს არტელის წევრთა საერთო კრებებზე განეხილათ და პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვის პერიოდში შემოეღოთ მწველავების, პირუტყვის მომვლელების და ფერმების გამგეების ნატურალური პრემირება ყოველ თვეში საერთოდ წველადობის გეგმის 2-დან 5 პროცენტამდე გადაჭარბებისათვის. ეს ღონისძიება ყველა კოლმეურნეობამ გამოიყენა და მან სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. რაიონის კოლმეურნეობებმა მაღალი წველადობის ძროხები გადაიყვანეს ბაგურ-ბანაკურ შენახვაზე.

სერიოზული წარმატებებია მიღწეული მეცხოველეობის ფერმების ორგანიზაციაში. წინათ ბევრ კოლმეურნეობაში მეღორეობას არ მისდევდნენ. ახლა რაიონის ყველა კოლმეურნეობას აქვს მეღორეობის ფერმები. თუ გასულ წელს გასუქებულ იქნა 340 ღორი, რომელთა საერთო წონა იყო 270 ცენტნერი, მიმდინარე წლის ბოლოს სუქებიდან მოიხსნება და ხორცის მიწოდების ანგარიშში სახელმწიფოს ჩაბარდება სულ მცირე

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გაზრდისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(დასასრული)

ერთწლიანი კულტურების ნათესები გადიდებულია 250 ჰექტარამდე და მრავალწლიანი ბალახებისა — 1.000 ჰექტარამდე. ძირხვენებისა და ბოჩეული კულტურებისათვის აქ გამოჰყვეს 128 ჰექტარი. თუ წინათ ფერმასთან არსებულ ნაკვეთებზე სასურსათო მარცვლეულ კულტურებს თესავდნენ, ახლა მთელი ეს ფართობი დათმობილი აქვს საკვებ კულტურებს. ყოველივე ამან კოლმეურნეობას საშუალება მისცა სარძეო-სასაქონლო, მეკამეჩეობისა და მეღორეობის ფერმებთან მოეწყო მწვანე კონვეიერი, რომელიც პირუტყვს გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე უზრუნველყოფს წვნიანი და მწვანე საკვებით. წვნიანი საკვებით პირუტყვის კვება არ შეწყდება ზამთარშიც. ამ მიზნით კოლმეურნეობა ინახავს 4.000 ტონა სილოსს — ოთხჯერ მეტს, ვიდრე 1953 წელს. საკოლმეურნეო პირუტყვი მთლიანად უზრუნველყოფილია მწვანე, უხეში და კონცენტრირებული საკვებით.

ილაპარაკა რა დიდ ვალდებულებებზე, რომლებიც კოლმეურნეობამ იკისრა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში, ამხ. ქოჩიაშვილმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია რაიონს გაეწიოს დახმარება კოლმეურნეობების ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში.

პარტიის შარნეულის რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ჯიბლაძე ლაპარაკობს იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომელიც ამ დღეებში სუფევს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დაბლობი ზონის კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურები აღებულია 14 სამუშაო დღეში და ახლა მკა დასასრულს უახლოვდება რაიონის მთიან ნაწილში. კოლმეურნეები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — უახლოეს წლებში დაევწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. პარტიის მოწოდებას რაიონის კოლმეურნეობები უპასუხებენ საკვები ბაზის გაუმჯობესებით და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით. მარნეულელმა მეცხოველეებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წვნიან საკვებს პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, გადაწყვიტეს თვითეულ ძროხაზე ჩადონ საშუალოდ 13 ტონა სილოსი. ბევრად დიდდება უხეში საკვების მარაგიც.

ლაპარაკობს რა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ნაკისრ ვალდებულებებზე, არსებულ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ამხ. ჯიბლაძე აცხადებს, რომ რაიონის კოლმეურნეობები 100 ჰექტარ მიწაზე რძისა და ხორცის წარმოების დონით ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეწევიან 1960 წელს.

დასასრულს ამხ. ჯიბლაძე შეჩერდა წითელხიდის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებისა და დაბა შაუმიანის სარწყავი წყლით უზრუნველყოფის, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საკითხებზე.

პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. მ. ნარსია ლაპარაკობს საქართველოში კომბინირებული საკვების წარმოების ორგანიზაციის შესახებ. ნავთლუღის საამქროს მაგალითის მიხედვით ქუთაისშიც მოეწყო ასეთი წარმოება, რომელმაც უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია. კომბინირებული საკვების წარმოება უახლოეს ხანში მოგვარდება აგრეთვე გორში, ცხაკაიასა და ახალციხეში. ეს საშუალებას მოგვცემს 1958 წელს გამოუშვათ 170-175 ათასი ტონა ძვირფასი საკვები რესპუბლიკის მზარდი მეცხოველეობის საჭიროებისათვის.

— უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, — ამბობს სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების სოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. ტებილოვი, — მეცხოველეობა ჩვენს ოლქში აღმავლობას განიცდის. წველადობის წლიური გეგმა სამხრეთ ოსეთში პირველად შესრულდა 1955 წელს. ჩვენში ყოველწლიურად იზრდება როგორც რძის, ისე ხორცის წარმოება 100 ჰექტარ მიწაზე. ოლქის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა უკვე შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა.

მაგრამ მეცხოველეობის განვითარებაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ყველა კოლმეურნეობა როდი იბრძვის მტკიცედ იმ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რომლებიც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის პარტიის მოწოდების პასუხად იკისრეს. მართალია, ჩვენი კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან საზაფხულო საძოვრებით, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება საზამთრო საძოვრებით უზრუნველყოფის შესახებ. საჭიროა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები დაეხმარონ ჩვენს ოლქს საზამთრო საძოვრებით უზრუნველყოფაში.

სიმინდისა და სხვა საკვები კულტურების მოსავალს არც თუ ცუდი პირი უჩანს. ახლა ამოცანა ის არის, რომ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე დავამუშაოთ ეს ნათესები, მოვაგვაროთ მათი საგულდაგულოდ მოვლა და უდანაკარგოდ ავიღოთ მთელი მოსავალი. ეს არის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საწინდარი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც ეჯიბრებიან აზერბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბაღის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ, რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მეცხოველეობის განვითარებაში და მით ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ბღაჟბამ ილაპარაკა იმ დიდ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა აფხაზეთის საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული აფხაზეთის მშრომელები ყოველწლიურად ადიდებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, გასულ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობით მოიყვანეს და სახელმწიფოს ჩააბარეს თამბაქო, ჩაი, ციტრუსები და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. გაიზარდა რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

— მაგრამ, — ამბობს ამხ. ბღაჟბა, — ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარების დონე ჯერ კიდევ დაბალია, საჭიროა მტკიცედ მოვკიდოთ ხელი საქმეს, აღმოვფხვრათ ყველა ნაკლი, დავძლიოთ ჩამორჩენა და ჩავდგეთ მოწინავეთა რიგებში.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში ყველაზე ჩამორჩენილი დარგია მეცხოველეობა. რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა, მტს-ი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას მისი განვითარებისათვის. აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი და კაბინეტურობა მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში. არ სრულდება პირუტყვის: ძროხის, დედაღორის, ცხვრის, თხის სულადობის და ფრინველის მომრავლების გეგმები. ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს და კიდევაც უნდა დაიკავოს ჩვენი კოლმეურნეობების ეკონომიკის განვითარებაში.

შემდეგ ამხ. ბღაჟბამ პლენუმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აუცილებელია სამეცნიერო დაწესებულებებმა, კერძოდ, საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის ინსტიტუტმა გააძლიერონ დახმარება აფხაზეთის ცალკეულ კოლმეურნეობებსა და რაიონებში მეცხოველეობის ეკონომიურად დასაბუთებული და სწორი განლაგების საქმეში.

პლენუმის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და, კერძოდ, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი სუსტად ეხმარებიან საკოლმეურნეო წარმოებას. ამ ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ი. კვესიტაძემ თავის გამოსვლაში ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ინსტიტუტის კოლექტივი ახორციელებს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან მეცნიერთა კავშირის გასაძლიერებლად. უკანასკნელ ხანს ბევრი ძვირფასი წინადადება შემუშავდა და დაინერგა პრაქტიკაში. კერძოდ შემუშავებულია სისტემა ღონისძიებებისა სამომთაბარო მეცხვარეობის რაციონალიზაციის დარგში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებთან ერთად შესწავლილია ზონების მიხედვით და ადმინისტრაციული რაიონების შესაბამისად მეცხოველეობის დარგების სპეციალიზაციისა და განლაგების საკითხები. გამოყვანილია ცხვრის ახალი ჯიში. დამთავრების სტადიაშია სამუშაოები სტაციონარული მეღორეობისათვის ღორების მაღალპროდუქტიული ახალი ჯიშობრივი ჯგუფის გამოსაყვანად და სხვ. ფართოდ იყენებენ ინსტიტუტის მიერ გამომუშავებულ ბაქტერიოფაგს, რომელიც ეფექტური საშუალებაა ხბოების დაავადებათა წინააღმდეგ და ა. შ. მაგრამ, როგორც ეს სამართლიანად იყო აღნიშნული მოხსენებაში, ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი სამეცნიერო ცენტრი მეცხოველეობის განვითარებაში, მის მუშაობაში იგრძნობა ერთგვარი მოწყვეტა პრაქტიკისაგან, კარჩაკეტილობა მეცხოველეობის მეცნიერული პრობლემების გადაჭრაში.

პლენუმზე ბევრი საყვედური გამოითქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისამართით.

— უნდა ვაღიაროთ, — განაცხადა მინისტრმა გ. ალავიძემ, — რომ სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები მეცხოველეობის განვითარებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადაჭრას ხშირად უდგებიან ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად.

შემდეგ ამხ. ალავიძე ლაპარაკობს წველადობის მაჩვენებლების გაზრდების დაუშვებელ ფაქტებზე, რომლებიც სამინისტრომ რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში გამოავლინა. მაგალითად, გალის რაიონის სოფელ წარჩის კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“ ადგენდნენ ფიქტიურ აქტებს ხბოების გამოსაკვებად რძის გასავლის შესახებ, რომლებიც ფაქტიურად წოვებაზე იყვნენ; გარდა ამისა, უწყებებში გადაჭარბებით უჩვენებდნენ ხბოების რაოდენობას. 1956 წლის აგვისტოში კოლმეურნეობაში იყო 38 ხბო, ხოლო რძის გასავალს უჩვენებდნენ 58 ხბოსათვის და ამ გზით საერთო წველადობა წლის განმავლობაში ხელოვნურად 28 ტონის გადამეტებით უჩვენეს. სოფელ წითელი ხევის კოლმეურნეობაში რძის გასავალს სხვადასხვა თვეში უჩვენებდნენ 40-50 ხბოს გამოსაკვებად, მაშინ როცა კოლმეურნეობაში სულ 34 ხბო იყო. ხბოების რაოდენობის გადაჭარბებული ჩვენებით აქ შემოსავალში გაატარეს და გასავალში ჩამოწერეს 9.300 ლიტრი რძე. ასეთი ფაქტები გამოვლინებულია თეთრი წყაროს და გარეუბნის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ეს სიგნალები ვალდებულს ხდიან როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე ადგილობრივ პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს სისტემატურად შეამოწმონ კოლმეურნეობებში პროდუქციის წარმოების აღრიცხვა და ანგარიშგება და საატიკად დასაჯონ ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის აშკარად ყალბი ცნობების შედგენაში.

— ახლა, — განაგრძობს ამხ. ალავიძე, — ყველაზე ხელსაყრელი დროა ძროხების წველადობის მაქსიმალური გადიდებისათვის. თუ ყველგან მოვაწყობთ ძოვების დამატებით ძროხების დამატებით კვებას ახლად მოთიბული ბალახით, კონცენტრატებით, წველადობის გადიდების დასახული მაჩვენებლები შეიძლება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეავსრულოთ. ბოგდანოვკის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის მაგალითის მიხედვით, რომლებიც უკვე წარსულ წლებში საძოვრებზე ადრინდან ასილოსებდნენ გარეულ ბალახებს და ძოვების პერიოდის დასასრულს აჭმევდნენ ძროხებს, საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ სხვადასხვა ბალახების დასილოსება საძოვრებზე, უმთავრესად ბურტებად, და მოვაწყოთ ამ სილოსის გამოყენება აგვისტოს მეორე ნახევრიდან. ესეც შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ წველადობა.

დაწვრილებით ილაპარაკა რა მეღორეობის, მეცხვარეობისა და მეფრინველეობის განვითარების მდგომარეობაზე, ამხ. ალავიძემ აღნიშნა ღონისძიებანი, რომლებიც სამინისტრომ განახორციელა მეცხოველეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგების ჩამორჩენის დასაძლევად. მან გაკრიტიკა რესპუბლიკის ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები უყაირათობისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის.

— გარეუბნის რაიონის მშრომელებს, თქვა კრწანისის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. ა. მიგრიაულმა, — შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა — მოამარაგონ რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობა ბოსტნეულით, რძით და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებით. კრწანისის საბჭოთა მეურნეობას, რომელიც შექმნილია ორთაჭალის მახარაძის სახელობის ყოფილი კოლმეურნეობისა და კრწანისის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე, ქალაქში ყოველდღიურად შემოაქვს 7-8 ტონა მოუხდელი რძე და სხვა პროდუქტები. მაგრამ ეს როდი ზღვარი. საბჭოთა მეურნეობის მუშებმა გადაწყვიტეს მნიშვნელოვნად გაადიდონ ამ პროდუქტების წარმოება. ამისათვის საბჭოთა მეურნეობას ყველა შესაძლებლობა აქვს. წველადობის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით, თვითეულ ძროხაზე მიღებულია 1.800 ლიტრი რძე. სულ 6 თვის განმავლობაში მიღებულია 202 ტონით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში. ასევე წარმატებით სრულდება ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები.

ამხ. მიგრიაული ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მეურნეობას, რომლის განკარგულებაშია 20 კომბაინი, ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, 50 ავტომანქანა, ქარგად მოწყობილი სახელოსნოები, ჰექანიზატორთა მაღალკვალიფიციური კადრები, შეუძლია დახმაროს მეზობელ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. ამ მიზნით ჩვენ გადავწყვიტეთ გავუწიოთ შეფობა სამ მეზობელ კოლმეურნეობას.

ბოგდანოვკის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. სარქისიანმა კონკრეტული მაგალითებით ნათელყო, თუ რა მდიდარი შესაძლებლობები აქვს თვითეულ კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის ამაღლებისათვის. პარტიის მოწოდებამ — უახლოეს წლებში დაევწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, — თქვა ამხ. სარქისიანმა, — სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი ძალების ახალი მოზღვავება გამოიწვია. ისინი ვადამდე ასრულებენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ მაღალ გალდებულებებს. შემდეგ ამხ. სარქისიანმა ილაპარაკა ბოგდანოვკის მტს-ის სატრაქტორო პარკის ახალი ტექნიკით აღჭურვის აუცილებლობაზე, კოლმეურნეობებსა და მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციაზე, საზამთრო და საზაფხულო საძოვრების გადანაწილებასა და თვითეული რაიონისა და კოლმეურნეობისათვის მიმაგრებაზე. კოლმეურნეობა იძულებულია ყოველწლიურად იჯარით აიღოს საძოვრები. იხარჯება დიდი სახსრები დროებით ნაგებობათა აშენებაზე, ხოლო მომავალი წლისათვის კოლმეურნეობას არა აქვს იმავე ნაკვეთის მიღების გარანტია, მაშასადამე, წელს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომავალში არ ხდება, რაც დიდ ზარალს აყენებს მეურნეობას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ იჩენს სათანადო მზრუნველობას რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში მეცხოველეობის განვითარებისათვის.

სუბტროპიკული რაიონის პირობებში მეცხოველეობის განვითარებაზე ილაპარაკა მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. საბაშვილმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავიანთ წარმატებებს მეცხოველეობაში მახარაძის რაიონის კოლმეურნეობები უნდა უმადლოდნენ უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობებს, რომლებთანაც მათ შეჯიბრება აქვთ და რომლებიც ძმურ დახმარებას უწევენ მათ.

— მეცხოველეობის საკითხები, — თქვა პარტიის სიღნაღის რაიკომის მდივანმა ამხ. ზ. ბიძინაშვილმა, — უკანასკნელ წლებში რაიონის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი გახდა. 1953 წელთან შედარებით რაიონში მკვეთრად იმატა პირუტყვის პროდუქტიულობამ, გაუმჯობესდა მისი მოვლა, აგებულია მეცხოველეობის სათავსები; რაიონის კოლმეურნეობები ყოველწლიურად ზრდიან საკვების მარაგს. ყოველივე ამან სოფლის მშრომელებს საშუალება მისცა პარტიის იმ მოწოდების პასუხად, რომ უახლოეს წლებში დაევწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძის, კარაქის წარმოების მხრივ, ახალი გადიდებული ვალდებულებები აეღოთ. მათ იკისრეს წელს სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ტონა ხორცი, 5.017 ტონა რძე, 1,5 მილიონი კვერცხი, 330 ტონა მატყლი. წელს დაამზადონ 80.000 ტონა სილოსი, 63.000 ტონით მეტი, ვიდრე გასულ წელს; 1960 წლისათვის ხორცის წარმოება გაადიდონ 69.000 ცენტნერამდე, ესე იგი, 3,5-ჯერ 1956 წელთან შედარებით, რძე — 6.500 ტონამდე, რაც 2,5-ჯერ აღემატება შარშანდელს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1960 წელს მიღებულ იქნება 2.000 ლიტრი რძე.

ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ვალდებულებები წარმატებით იქნება განაღდებული.

შემდეგ ამხ. ბიძინაშვილმა ილაპარაკა იმაზე, რომ რაიონში ზოგჯერ შემოჰყავთ ჯიშიანი პირუტყვი ადგილობრივი კლიმატური პირობების გაუთვალისწინებლად. მან ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, რომ აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს მეთესლეობას ბალახთესლეობაში და შრომატევადი პროცესების მექანიზაციას მეცხოველეობაში.

ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებში უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის შესახებ დამახასიათებელი ცნობები მოიყვანა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ურუშაძემ.

მთლიანად რაიონში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული იყო: 1953 წელს — 205 კილოგრამი რძე, 1954 წელს — 210, 1955 წელს — 542, ხოლო 1956 წელს — 647 კილოგრამი. თუ 1955 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის საკარგულებზე მიღებული იყო 5.219 კილოგრამი რძე, 1956 წელს მიღებულ იქნა 6.657 კილოგრამი. ასეთივე ზრდაა ხორცისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოებაშიც. კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლებია მიღწეული მიმდინარე წელს. 15 ივლისისათვის საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულ იქნა 401 კილოგრამი რძე, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1951 წელს.

ეს მიღწეულია მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უკეთესი ორგანიზაციის, მინდობილი საქმისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლების მეოხებით, რამაც საშუალება მოგვცა რაიონის მეცხოველეობა საკოლმეურნეო წარმოების ერთ-ერთ წამყვან დარგად გაგვეხადა.

ამხ. ურუშაძე შეეხო მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარების საკითხებს და აღნიშნა, რომ მეცხოველეობის ამ დარგებს შემდგომი განვითარების კარგი პირობები აქვთ რაიონში. მან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ გამოიყოს დამატებითი ასიგნობანი ცხაკაიას მეფრინველეობის ფაბრიკისათვის, როგორც მშენებლობა გაჭიანურდა და რომელიც განკუთვნილია 40.000 ფრთა ფრინველისათვის.

ამხ. ურუშაძე ფართოდ შეეხო საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მუშაობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესრულებულ იქნას ვალდებულებანი, რომლებიც რაიონის კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა იკისრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

პლენუმზე აგრეთვე გამოვიდნენ დუშეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. მწითური და პარტიის კასპის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კეჩხუაშვილი.

სხდომის დასასრულს საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. პ. კოვანოვი.

* * *

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ახალი საბავშვო ჟურნალი

ხოხუმი. (საკ. კორ.). გამოვიდა ახალი აფხაზური საბავშვო ჟურნალის „ამცაბზის“ („ალი“) პირველი ნომერი. ჟურნალი „ამცაბზი“ საქართველოს ალკვ აფხაზეთის სახელმწიფო კომიტეტის ორთვიური ორგანოა. მისი რედაქტორია ახალგაზრდა აფხაზი პოეტი კ. ლომია.

ახალი საბავშვო ჟურნალის გამოსვლა დიდი მოვლენაა აფხაზეთის ახალგაზრდობის კულტურულ ცხოვრებაში. იგი აფხაზ ბავშვებს დაეხმარება უკეთესად შეისწავლონ მშობლიური ენა, კიდევ უფრო შეაყვარებს მათ შრომას, სოციალისტურ სამშობლოს და მის მოწინავე ადამიანებს, ხელს შეუწყობს სკოლას ახალი თაობის უკეთ აღზრდაში. იგი დიდ სამსახურს გაუწევს აგრეთვე აფხაზური საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეს.

პირველ გვერდზე მოთავსებულია რედაქციის მიმართვა ნორჩი მკითხველებისადმი. შემდეგ დაბეჭდილია აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას სურათი და ლექსი „ბაბუა და გაზაფხული“.

ახალ ჟურნალში დაბეჭდილი მოთხრობებისა და ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია. აქ არის ცნობილი აფხაზი პროზაიკოსის ივანე პაპასკირის მოთხრობა „პატარა მაგა“, პროტალ ჯონუას ლექსი „ელექი კირშალის ამბავი“, ძაძ დარხაილის ნოველა „მაცას გმირობა“, პოეტ ბაგრატ შინკუბას იგავ-არაკი „ბულბული მომღერალი და მელია — კუდიგრძელია“, რომელიც კარგად არის დასურათებული მხატვარ შ. ცხადაძის მიერ, კ. ლომიას ლექსი „ვაშლის ხე“. ბავშვებისათვის საინტერესოა ნ. ქუთელიანა და ს. კაპპას ფოტონარკვევები ნორჩი ნატურალისტებისა და ტექნიკოსების საქმიანობაზე.

შ. ინალ-იფას ხტატია „კერაზი“ ახახავს აფხაზეთის რევოლუციურ წარსულს, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველებზე ჯ. ჯონუას მოთხრობა „ხიდი“, ნ. თარბას ლექსი „პიონერი“, კ. გერხელოს „სიმღერა ფესტივალზე“ და პ. ზაკრილისა და თ. ღურჯუას სამბავო მოთხრობები.

ჟურნალი ლამაზად არის გაფორმებული. თითქმის ყველა ნაწარმოები ილუსტრირებულია მიმზიდველად. არის კროსვორდებისა და გამოცანების გვერდი. ჟურნალის მხატვრულ გაფორმებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მხატვრებმა ნ. ყაზბეგმა, ი. შენგელაიამ, დ. გაბიტაშვილმა და სხვ.

„ამცაბზი“ ძვირფასი საჩუქარია ბავშვებისათვის.

იონა მეუნარგიას „ქართველი მწერლები“ ტომი II

გამოვიდა იონა მეუნარგიას „ქართველი მწერლების“ II ტომი. ტომში მოთავსებული მასალები (ნარკვევები, მონოგრაფიები, მოგონებები) აშუქებენ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, სერგეი მესხის, ალექსანდრე ყაზბეგის, ნიკო დადიანის, დავით დადიანის და სხვათა ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედების საკითხებს. დამატებაში მოთავსებულია მონოგრაფიული ნარკვევი ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულ დადიანის შესახებ და ავტორის სემინარიელობისდროინდელი დღიურები. ტომს წამძღვარებული აქვს შემდგენელისა და რედაქტორის სოლომონ ცაიშვილის შესავალი წერილი და დართული აქვს მისივე ვრცელი კომენტარები და შენიშვნები. წიგნს ახლავს რვა ფოტოსურათი და პირთა საძიებელი, გამოცემულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდკაბინეტის გამომცემლობის მიერ, შეიცავს 368 გვერდს და ღირს 13 მან. და 50 კაპ.

გამოვასწოროთ პირველი დღეების ნაკლოვანებანი

— კარგა ხანია პურეულის ასეთი მოსავალი არ მიგვიღია. მკის პირველი დღეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წელს ზონაში ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით 5-6 ცენტნერით მეტი პურეული უნდა მივიღოთ, — განაცხადა დმანისის მტს-ის დირექტორმა რ. მირიტაძემ.

მტს-ის ზონაში ახლა პურეულისა და ესპარცეტის მოსავლის აღებაზე ყოველდღიურად 11 კომბაინი მუშაობს. 4 სამუშაო დღეში მომკილია 800 ჰექტარამდე პურის ყანა და ესპარცეტი. ზონის კოლმეურნეები და მექანიზატორები ვალდებულებას კისრულობენ 4.529 ჰექტარზე მკა 12 სამუშაო დღეში დაამთავრონ.

მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომბაინერი გ. ასლანიანცი. მეშტურვალე ა. ასლანიანცთან და ტრაქტორისტ ა. ზურაბოვთან ერთად მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით სოფელ მაშავერას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში 4 სამუშაო დღეში 82 ჰექტარი მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 21 ცენტნერი ხორბალი გალეწა. აგრეგატის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს კოლმეურნეობაში კიდევ 100 ჰექტარზე აიღოს მოსავალი და მთელი მომკილი ფართობის ყოველ ჰექტარზე 18-19 ცენტნერი მარცვლეული გალეწოს.

სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობამ მთელ რაიონში სამართლიანად დაიმსახურა მოწინავის სახელი თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში. შარშან აქ ჰექტარზე 17,7 ცენტნერი ხორბალი მიიღეს.

ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის კოლმეურნეებმა წელსაც კარგად იმუშავეს. კოლმეურნეობას 133 ჰექტარი პურეული ეთესა. უკვე აღებულია 100 ჰექტარი, ჰექტარზე გალეწილია 18 ცენტნერი.

დმანისის მტს-მა შარშანდელთან შედარებით ორგანიზებულად დაიწყო მოსავლის აღება.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ასრულებს სოფელ ბოსლების ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. ყანჩელაშვილი). კოლმეურნეობის პურეულის ნათესი 211 ჰექტარს შეადგენს. აქ ორი კომბაინი მუშაობს. კომბაინერმა ჯ. იბრაგიმოვმა 2 დღეში 35 ჰექტარი აიღო და ჰექტარზე 15 ცენტნერი პური გალეწა. კომბაინერი ვ. კავლელაშვილი ყოველდღიურად 15-20 ჰექტარს იღებს და ჰექტარზე საშუალოდ 19-20 ცენტნერ ხორბალს ლეწავს. კოლმეურნეობაში აქვთ ისეთი ნაკვეთები, სადაც კომბაინი ვერ მიუდგება. კოლმეურნეები ამ ნაკვეთებს ხელით იღებენ. თავიანთი ძალით კოლმეურნეებმა 40 ჰექტარზე მეტი აიღეს. თავთავის აკრეფა აქაც სანიმუშოდ არის მოწყობილი.

ჰექტარზე საშუალოდ 15-16 ცენტნერ პურს იღებს აგრეთვე დიდი დმანისის კოლმეურნეობა. აქ მოსავლის აღებაზე მუშაობენ კომბაინერები შ. ისკანდაროვი და გ. სიმონიანცი. ისინი ყოველდღიურად 15-16 ჰექტარს იღებენ და 15 ცენტნერზე მეტს ლეწავენ ჰექტარზე. კოლმეურნეობამ თავისი ძალებით 60 ჰექტარზე აიღო პურეული. პურეულის მკაში თავი ისახელეს კოლმეურნეებმა ქ. აკოფაშვილმა, ნ. ოგანეზოვმა, ს. ოსკანოვმა, ა. მარტიროსოვმა და სხვებმა. თავთავის აკრეფაზე ყოველდღიურად 50-60 კაცი მუშაობს.

დმანისის მტს-ის მუშაობაში არის ნაკლოვანებანიც. ზონის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ სხვადასხვა ადგილას მოსავალი სხვადასხვა დროს შემოდის. სოფელ ვარდისუბანში მოსავლის აღება რომ მთავრდება, სოფელ განთიადში იგი მაშინ იწყება. ამიტომ მოსავლის აღების პირველ დღეებში კომბაინები გაცდა იმის გამო, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში, სადაც კომბაინები მივიდნენ, კოლმეურნეებმა მექანიზატორებს ნედლი პურეულის აღების ნება არ მისცეს, ეს მაშინ, როცა სხვა კოლმეურნეობებში პური მთლიანად შემოსულია და ერთ კომბაინზე მეტი არ მუშაობს. მაგალითად, სოფელ მაშავერაში კომბაინს 90 ჰექტარზე ასაღები ჰქონდა შემოსული პური, როცა ჯავახში მეორე კომბაინი უსაქმოდ იდგა.

კომბაინების მოცდენის შემთხვევები

აჯანყება ომანში

ამ რამდენიმე დღის წინათ ომანში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყება მიმართულია მასკატის სულთნის საიდ ბენ-თემურის წინააღმდეგ, რომელიც ომანის სასულთნოში ინგლისის იმპერიალისტთა მთავარ დაასაყრდენს წარმოადგენს. აჯანყებულებმა სძლიეს სულთნის ჯარს, რომლის სათავეშიც ინგლისელი ოფიცრები დგანან, და ხელი იგდეს ომანის ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი. მათ დაიკავეს ომანის საიმამოს დედაქალაქი ნაზვა, ქალაქი იბრი და ხელში ჩაიგდეს სტრატეგიული პუნქტები, რომლებიც ერთმანეთს აკავშირებენ ქალაქ მასკატსა და ნავთობის მარაგით მეტად მდიდარ ბურაიმის ოაზისს.

აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ქ. ალმატრას მახლობლად მდებარე აეროდრომს, რომლის საშუალებითაც ინგლისელები აწვდიან იარაღს სულთნის ჯარს.

აჯანყება ომანში ფართო გამოძახილს პოულობს არაბეთის ნახევარკუნძულის სხვა სასულთნოებშიც. ეგვიპტისა და ლიბანის გაზეთების ცნობით, ძლიერი მღელვარება დაიწყო აგრეთვე ბაჰრეინის კუნძულებზე. ლიბანის გაზეთი „ასსიასა“ („პოლიტიკა“) წერს, რომ ომანსა და მასკატში „იფეთქა ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულმა ნამდვილმა განმათავისუფლებელმა რევოლუციამ“, ხოლო ომანის იმამის ჰალებ ბენ-ალის წარმომადგენლობამ კაიროში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ აჯანყება ომანში თავისი ხასიათით „... წარმოადგენს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად მიმართულ განმათავისუფლებელ ბრძოლას“.

* * *

ომანი (ანუ მასკატი) მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთში. იგი ესაზღვრება ადენის პროტექტორატს, საუდის არაბეთს და სახელშეკრულებო ომანს. ხოლო დაახლოებით 1.600 კილომეტრზე ძას ეკვრის ომანის ყურე და არაბეთის ზღვა. ომანის ტერიტორია დაახლოებით 200 ათასი კვ. კილომეტრია, ხოლო მოსახლეობა, რომლის უმრავლესობას არაბები შეადგენენ, 550 ათასკაცს აღწევს.

სახელმწიფო წყობილების მხრივ ომანი ფეოდალურ-აბსოლუტურ მონარქიად წარმოადგენს. სახელმწიფოს მეთაურია ომანის სულთანი. სასულთნოს დედაქალაქია ქ. მასკატი 5,5 ათასი მოსახლით; ქ. მასკატი აგრეთვე ომანის მთავარი ნავსადგურია. ქვეყნის სავაჭრო ცენტრია ქ. ალ-მატრა.

ომანის ტერიტორიის შიდა ნაწილში მდებარეობს ომანის საიმამო, მისი ცენტრია ქალაქი ნაზვა, რომელიც ძველთ ომანის დედაქალაქადაც ითვლებოდა, ამჟამად კი ომანის იმამის (ქვეყნის რელიგიური ხელმძღვანელის) აღგილსამყოფელს და საიმამოს დედაქალაქს წარმოადგენს

ომანი მეტად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. ფეოდალურ წყობილებასთან ერთად აქ ჯერ კიდევ ძლიერად არის შემორჩენილი გვაროვნულ-ტომური ურთიერთობის გადმონაშთები. ზოგან კი მონობის ინსტიტუტიც არის შერჩენილი, თუმცა ოფიციალურად მოსათმფლობელობა ომანში აკრძალულია.

ომანის სასულთნოს ვაჭრობისა და ფინანსური საქმიანობის ძირითადი დარგები ინგლისელებს აქვთ ხელში ჩაგდებული. სასულთნოს არა აქვს საკუთარი ფულის ერთეული, აქ ხმარებაშია ინდური რუპია. ომანის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევს. ყველაზე მეტად აქ გავრცელებულია ფინიკის პალმის კულტურა. აქ ხარობს აგრეთვე კაკალი, ლეღვი, ზეთისხილი, ბროწეული, კომში, ვაზი, თუთა და ქოქოსის პალმა. მოჰყავთ აგრეთვე ხორბალი, ქერი, სიმინდი, ბამბა, შაქრის ლერწამი და თამბაქო. ზღვის სანაპიროზე მისდევენ მეთევზეობას. მესაქონლეობა აქ ნაკლებად არის განვითარებული, მომთაბარე ტომები მისდევენ აქლემებისა და სახედრების მოშენებას.

სრულებით არ არის ომანში საფაბრიკო-საქარხნო ტიპის სარეწაოები. არ არის რკინიგზა. ალ-მატრაში არის მცირე გემების შემკეთებელი სახელოსნო. ზღვის ნაპირის გასწვრივ ჯამაგანილი 400 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა ომანში ფართოდ არის გავრცელებული შინამრეწველობა და ხელოსნობა.

* * *

ინგლისელმა იმპერიალისტებმა ომანში ფეხი მოიკიდეს მე-18 საუკუნის დასასრულს; 1798 წელს ინგლისის „ოსტ-ინდოეთის კომპანიამ“ უფლება მიიღო დაეარსებინა ომანის ტერიტორიაზე თავისი საგაჭრო ფაქტორიები. 1800 წლიდან ხსენებულ კომპანიას ქ. მასკატში ჰყავდა თავისი მუდმივი რეზიდენტი. 1891 წელს დადებული ხელშეკრულების თანახმად ომანის სულთანს უფლება არა ჰქონდა დაეთმო ომანის ტერიტორია რომელიმე სხვა სახელმწიფოსათვის, გარდა ინგლისისა, და დაეწესებინა საბაჟო გადასახადი უცხოურ საქონელზე, თუ ინგლისის თანხმობა არ ეჭნეოდა. 1939 წელს ინგლისმა თავს მოახვია ომანს ახალი კაბალური ხელშეკრულება, რომლითაც ინგლისელები ცდილობდნენ საბოლოოდ დამორჩილებინათ ეს ქვეყანა. ომანელი ხალხი


ირანი
სპარსეთის
ყურე
ომანი
ზაჰირა
ნიზვა
ომანის
ყურე
ალ-ალმატრა
(ბრიტ.)
ალ-ბურეიმი
ალ-ბურაიმი
ალ-ბატინა
ალ-ბალიდ
ალ-ბაიმ
ალ-ბიდ
ალ-ბაჰრ
ალ-ბაჰა
ალ-ბაჰა
ალ-ბაჰა